

საბჭოთა კავშირის
კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის
პლენუმის შესახებ

№ 28 (10 187)
10 თებერვალი
თბილისი
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო
კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ
КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ღირსი 8 კაპ.

1990 წლის 7 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

პლენუმზე გამოვიდნენ: კ. მახაშვილი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; ა. მ. მახალია — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; გ. ს. ბაშტანიუკი — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი; ვ. ტ. საიკინი — მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; ა. ბ. შალია — საწარმოო გაერთიანება „თურქმენგაზმრეწვის“ ბურღვის ოსტატი; ს. ს. ალექსევი — საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

პლენუმზე შექმნილი სარედაქციო კომისიის სახელით გამოვიდა გ. პ. რაზუმოვსკი.

სარედაქციო კომისიის წინადადებათა ყოველმხრივი განხილვის შემდეგ პლენუმმა მოიწონა შემოსული შენიშვნებისა და განხილვის გათვალისწინებით დახვეწილი პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი (პრესაში გამოქვეყნდება) და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

პლენუმზე გაგრძელდა ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

ამ საკითხზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმზე გამოვიდნენ: ა. მ. კ. ბრაზუხასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; მ. მ. ბურაკოვიჩი — ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ვ. ა. კუპცოვი — სკკპ ვოლოგდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ა. პ. კლაუცენი — ლატვიის კომპარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ნ. შვედი — ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ნ. მ. ერშოვა — საწარმოო გაერთიანება „ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის“ გამმართველი, ქ. პერმი; ა. ნ. იაკოვლევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ი. დ. მახალია — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე; ა. ვ. ი. პალეცკისი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ვ. ი. ი. კარდამაიჩი — ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

შეველი თაბისი
ნილი შაპირი...

— გოგონასებათ, რისთვისაც იბრძვის ახლა საქართველო — ამ ბრძოლის სანუგეშო მიზანი ჩვენი სამშობლოს სრული სუვერენიტეტი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც, ცხადია, იმითმეტიწმნა, რომ მფიპოვით სპორტული სუვერენიტეტი, დამოუკიდებლად გავიდეთ საერთაშორისო სარბიულზე. არადა, ამ გზაზე მრავალი დაბრკოლება გველოდება. სწორედ ამიტომაც აუცილებელი ერთობლივად შევიმუშავოთ ბრძოლისა და მოქმედების საერთო კონცეფცია, ერთობლივად ვიღვაწოთ საერთო მიზნის მისაღწევად. — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა 7 თებერვალს თბილისის ჩაის სახლში შეკრებილ რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელებს.

ამ შეხვედრის „მოსაწვევი ბარათი“ ჩვენი გაზეთის 3 თებერვლის ნომერი გახლდათ. იმ დღეს „ლელოში“ დაიბეჭდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციასა და ხელმძღვანელებსადმი ქალბატონი ნონა და სეოკის სპორტული ფედერაციების კომისიის თავმჯდომარე ვანო ყიფიანი მიმართული.

იხ. ავ. 2 33

ლელო
მეხსი —
ნახეპარფინალში

ველინგტონი. აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში ლეილა მესხმა კვლავ წარმატებით ითამაშა და დაამარცხა დასავლეთგერმანელი ანკე ჰუბერი — 7:5, 6:2. მესამე წრეში თბილისელი ჩოგბურთელი ინგლისელ რენისტადლერს შეხვდა და კვლავ გამარჯვება მოიპოვა — 6:4, 6:0. ამ გამარჯვებით მესხმა ნახევარფინალის საგზური მიიღო.

იგი ნახევარფინალში იასპარეზებს (ნატალია მედვედევასთან ერთად) წყვილთა ტურნირშიც.

ერთეულთა თანრიგის მეორე წრეში დამარცხება განიცადა კიეველმა ნატალია მედვედევამ. მას აჯობა ბელგიელმა საბინ აპელმანსმა (6:0, 6:0), ჩოგბურთელმა, რომელმაც ლეილა მესხთან წააგო ახალი ზეღანლის ლია ჩემპიონატის ფინალი.

რუსეთის
ოლიმპიური კომიტეტი

ახლახან შექმნილმა სრულიად რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელსაც თავის შემადგენლობაში დამფუძნებელ კონფერენციაზე არჩეული ჯერ მხოლოდ თავმჯდომარე ჰყავდა, გამართა პირველი კრება. მოსკოვში ჩავიდა მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების 169 დელეგატი.

კრების მონაწილეებმა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს ი. იურიევი, კომიტეტის ზაზინდარი, რამდენიმე საშუალო კომისიის ხელმძღვანელები, აღმასკომის სხდომაზე განიხილეს მისი საშუალო გეგმის პროექტი.

15 თებერვალს, 12 საათზე თბილისის კადრაკის სახალხოში შედგება საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 11 საათიდან.



ხეოკ-ის აღმასკომის წევრებისა და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები შეხვედრა შეხვედრა ხიტყვით გახსნა ნონა გაფრინდაშვილმა. ა. კოტორაშვილის ფოტოები.

„ვინაა თქვენგანა თუ იცის,
რა არის კატბურთი?“



მასხანდვანა ეს შეკითხვა, რომელმაც შეიძლება ერთგვარად გაუღებრევილი, მაგრამ დროულად გაიქცა 1986 წლის ზაფხულში. ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა დელეგაცია მშვიდობის მისიით ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში. და სწორედ მაშინ — სტუმრებისთვის ძალზე მოულოდნელად — მათ ასეთი შეკითხვა დაუსვეს. მაღლობა ღმერთს, რომ ათი პროფესორიდან ერთ-ერთი, 43 წლის უიზ პოლთი ყოფილი კეტბურთელი, ის კი არა, სამოყვარულო გუნდის მწვრთნელიც აღმოჩნდა. სამი საათის განმავლობაში უხსნიდა იგი „ლელოს“ კორესპონდენტს, — სხვათა შორის, „ლელო“ პირველი გაზეთია საბჭოთა კავშირში, რომელმაც ამ თემის მიმართა, — თუ რას წარმოადგენს ეს თამაში. ახლა, როცა იმ ძველ, სანახევროდ გაცვეთილ მაგნიტურ ფირს ვუსვენ, მაშინდელი დილეტანტური შეკითხვები ლიბლს მგერის. ვიცით თუ არა ჩვენ, რა არის კეტბურთი?

იხ. ავ. 2 33

ს. ურათა: თბილისის სეროპოტში შეხვედრის შემდეგ.

ა. კოტორაშვილის ფოტო.




„პინგა თქვენგანა თუ იმის, რა არის კეზუპური?“

(დასასრული)

რა თქმა უნდა, ვიცით... გადის დაახლოებით ოთხი წელი და თბილისში, პირველად საბჭოთა კავშირში, ტარდება სამოყვარულო კეტბურთის ევროპის კონფედერაციის კონგრესი, ზის ახლა ჩემს გვერდით საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში 12 ქვეყნის 50 ყველაზე ცნობილი სპორტული მოღვაწე და „კრიმინალური“ მსჯელობის დიახ, სხვა შეკითხვების დრო დადგა.

„ვინა თქვენგანა თუ იმის, რა არის ქართული ბეისბოლი?“

ეს შეკითხვა ახლა შედის ყველა იმ რეპორტიორის „სავალდებულო პროგრამაში“, ვინც კონგრესს აშუქებს. მოაქციეთ ყურადღება — საქართველოში არა მხოლოდ კეტბურთელები იქნენ „ჩვეულებრივ ამბად“, არამედ ამ თამაშში გარკვეული უპირატესობებიც. მეტიც, კეტბურთის პრობლემებს ენათმეცნიერებმაც მიაქციეს ყურადღება. მათ ამ ამერიკული თამაშის ქართული სახელწოდებაც მოიგონეს — „კეტბურთი“. ვერ ვიტყვი, რომ სპორტსმენები ალტაცებული დარჩნენ ამ-




ლევან პირო

გვარი „ნათლობით“. გამოგეტყუებოდა, მაშინ, როცა არსებობს ბევრი სხვა პრობლემა, მაგალითად, მინდვრების, სპორტული ფორმების, ბურთების უქონლობა, პირადად მე ეს საკითხი გადამწყვეტად არ მეჩვენება. მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი, რომ ამერიკული „ბეისბოლი“

უკვე საქართველოშიც დამკვიდრდა, ფრიად სასიამოვნო ამბად მიმაჩნია. ბეისბოლი ქართულად... ჩემმა პირველმა თანამოსაუბრემ, სამოყვარულო კეტბურთის ევროპის კონფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა პოლანდიელმა ჟიულ დე პიერმა, რამდენჯერმე გამამეორებინა სიტყვა „კეტბურთი“. მართლაც უჩვეულოდ ჟღერს. თავად პოლანდიელმა, სადაც ბეისბოლი თითქმის წლის წინ გამოჩნდა, თავიანთი ტერმინი აქვთ — „პონკოლი“, მაგრამ იგი ყურს არავის კრის. ბოლო თითქმის წელი პოლანდიელები იშვიათად თუ უშვებდნენ წინ იტალიელებს, უმეტესად კი ევროპის ჩემპიონები ხდებოდნენ. ბატონმა ჟიულმა სხელი ხელზე დამკრა: „ნურადგის მოგერილებათ, ჩვენც ფეხბურთის მოედნებზე ვიწყებდით თამაშს, ახლა კი უკვე 15 ბეისბოლის კლუბი გვაქვს!“ ჩემს სასიამოვნო თანამოსაუბრეს იუმორის საქმე კარგადად აქვს და დავი უფულობას უჩივის — იგი კეტბურთის მსოფლიო ასოციაციის (იბა) ხაზინადარია.

აი, დოქტორი დიდი ფურნიე კი ვერა და ვერ გავაცინე. იმათ რიცხვში, ვინც გაცივებითა და ცუ-



დიდი ფურნიე

დად დაფარული ალტაცებით ათვალიერებს საკუთარ თავს საქართველოში რუსეთის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის ჭრელ სარკეებში, ბატონი დიდი ფურნიე სერიოზულია. ჯერ კიდევ მის მშობლიურ ქალაქ პარიზში 1988 წელს მიმდინარე წინა კონგრესზე დოქტორმა დიდი

ფურნიემ წინადადება შეიტანა სება-სთან შექმნილიყო სამედიცინო კომისია. ამ კომისიის აუცილებლად უნდა ჰქონდეს ანტიდოპინგური ლაბორატორია, მისი არსებობისთვის საჭირო თანხებს პარიტეტულ საწყისებზე გაიღებს სება-ში შემავალი ყველა ქვეყანა. იცით, რა ჯდება ერთი გუნდის შერჩევით ალტაცული რვა მოთამაშის ანტიდოპინგური კონტროლი? არანაკლებ ათასი ამერიკული დოლარისა. და ეს თანხა ყოველგვარი დანახების გარეშე უნდა დაიხარჯოს ყოველი თამაშის წინ, თუ გვინდა ჩვენი სპორტიდან ლობნები გამოვრიცხოთ. ბატონმა დიდი ფურნიემ მომავალი სამედიცინო კომისიის საქმიანობის პროგრამა, დაამუშავა იგი კომპიუტერზე, იმ ოპერაციებს შორის შესვენებების დროს, რომლებსაც იგი ყოველდღე აკეთებს თავის საკუთარ კლინიკაში და აი, ახლა აქ, თბილისში, იგი ამ პროგრამას მიხედვით შესთავაზებს კონგრესის მონაწილეებს. თუ კონფედერაციის წევრები მხარს დაუჭერენ, დოქტორი დიდი ფურნიე ამ კომისიის პირველი პრეზიდენტი გახდება. „მე რომ ჩვენი მეთვლეკის მხარდაჭერა აღვთქვათ, შეძლებთ თუ არა აღგვითქვით, რომ ყველანიარად დავუვებარებოთ, რათა საქართველოს კეტბურთის ფედერაცია შემადგენლობაში მიიღონ?“

დოქტორმა ფურნიემ თანხმობა მომცა.

პაპი გომორიშვილი.

სურათზე: პირველ სხდომაზე ქვეით — სტუმრები საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ყველა თაჰისი ჟილი ყაჰირი...

(დასასრული)

ვის აღრესატებს სთავაზობდნენ განხილავთ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი — რესპუბლიკის სპორტული ფედერაციების გაერთიანება საერთაშორისო სპორტულ ასოციაციებში.

ნონა გაფრინდაშვილის მიერ შეწყვეტის გახსნისას ზემოთ ნათქვამ სიტყვებში გაცხადებულია ის ვითარება, რომელშიც ყველა ჩვენგანი მერტყავლად გარკვეულია — სუვერენიტეტისკენ მსწრაფველი ჩვენი სპორტული მოძრაობა მრავალ წინააღმდეგობას აწყდება. უკუღმართობით გაუსაძლისი ცხოვრებისაგან თავდასხნის გზის მძებნელებს სპორტშიც იმდენი აკრძალვის ნიშანი, იურიდიული ორბი და ხაფანგი დაგვიხლდა, ძნელად რომ წარმოვიდგენდით. უკან დახევა და მხრების ჩამოყრა კი საკუთარი თავისა და საერთო საქმის ღალატია. აქ აღინიშნა კიდევ მიმართვაში — ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე უპირველესი ამოცანად ყველა შესაძლო საშუალებების გამოყენება და გამოყენება მიგვაჩნია. რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი სპორტული ფედერაციების სრულიად დამოუკიდებელი ფუნქციონირება,

მათი თავისუფალი ურთიერთობა საერთაშორისო სპორტულ ასოციაციებთან.

— საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 4 თვის წინ შეიქმნა, — თქვა სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ნაცვლიშვილმა. — ეს დრო ძალზე მცირეა საიმისოდ, რომ გადაგველაზა ის რუტინული წინააღმდეგობანი, მიზანს რომ გვაშორებს. დაბრკოლებანი რესპუბლიკაში არ გვქონია, ბალტიისპირელებთანაც კოორდინირებული ვმოქმედებდით, მაგრამ...

ვანო ყიფიანი: უპირველეს ყოვლისა, თავი უნდა დავაღწიოთ სპორტის მართვის საკავშირო ცენტრალიზებულ სისტემას. უნდა გიბრძოლოთ იმისათვის, რომ დაიშალოს მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე დამყარებული ეს სტრუქტურა. სანამ საერთაშორისო ასოციაციებსა და ფედერაციებში საბჭოთა კავშირის წარმომადგენენ მხოლოდ ესა თუ ის საკავშირო ფედერაციები, ძალზე გაგვიძნელებდა წინსვლა.

დამსწრეთ აცნობეს, რომ საქართველოს რაგბის კავშირმა და ქართულმა და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციამ უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები საერთაშორისო კავშირებსა და საბჭო-

ებში გასაწევრიანებლად. ამ გზას ადგას ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაცია. ქართველ მორაგბეთა თავგაცემა ალექს გოცი-რიძემ და დავით კილასონიამ შეკრებილ მომენტებს იმის შესახებ, თუ როგორ დაუკავშირდნენ რაგბის საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელებს, როგორ მიიღწიეს იმას, რომ მალე, მარტის ბოლოს, ირბ მიიღეს და დაეწყო ქართული მორაგბეთა თავის რიგებში გასაერთიანებლად. მათს მონათხრობში გვეჩვენა ის, რაც საქართველოს სპორტულ ფედერაციათა ყველა ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს: პირველად უნდა მოგვეკვიდნენ, — აღნიშნა ა. გოცი-რიძემ და დ. კილასონიამ. — ამიტომ იყო, რომ ვესაუბრეთ საქართველოზე, მის ისტორიაზე, დღევანდელ მდგომარეობაზე, თანამედროვე ეროვნულ მოძრაობაზე. უცხოელებმა ბევრი რამ არ იციან ჩვენს შესახებ, ისინიც გარკვეული სტერეოტიპების გავლენას განიცდიან. პირად კონტაქტებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატები ვაქციოთ ავტორიტეტულ, პრესტიჟულ, პირველხარისხოვან ასპარეზობებად. ამავდროულად ისაუბრეს ქართული და აღმოსავლური

ორთაბრძოლების, ბალახის ჰოკეის და ცხენოსნობის წარმომადგენლებმა.

ერთი სიტყვით, ამ საკითხზე მსჯელობამ ერთ დღესამდე მიგვიყვანა: საერთაშორისო სპორტულ ასოციაციებში გასაწევრიანებლად მზა რეცეპტი არ არსებობს, ეს ამოცანა ჩვენმა ფედერაციებმა ერთგვარ საშინაო დავალებად უნდა მიიღონ და საერთო მხარდაჭერაზე დაყრდნობით თავისი წილი ყაჰირი გაეტრებინ.

შეხვედრაზე გამართული სჯა-ბაასი, ცხადია, მარტო ამ საკითხით არ შემოფარგლულა. დამსწრეთ ეცნობათ, რომ სეოკ-ის აღმასკომის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერის 13 რეგიონალური ჯგუფი, რომლებიც მთელ საქართველოს მოიცავენ. ამ ახალი საზოგადოებრივი ერთეულების შექმნა ემსახურება სეოკ-ის სტრუქტურის სრულყოფას, ეროვნული სპორტული მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას. საბოლოოდ ჩამოყალიბდა სეოკ-ის სპორტულ ფედერაციათა კომისია, რომელმაც ითავა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმე: რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციებთან ერთად შეიმუშავოს, მიიღოს და ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს საქართველოს სპორტული ფედერაციების მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა სპორტული ფედერაციისადმი.

ჩაჰიონე — პაჰიონის როლი

მსოფლიო ჩემპიონის ვლადიმერ მოდოსიანისა და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულის გიორგი ივანიშვილის დასწრებაში დაამუშავა სარაიონის პირველობა, რომელიც წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში ჩატარდა. შეჯიბრებას ღია ტურნირის სახე ჰქონდა და არბოშიკში მებრძელი რაიონებიდან (ყვარელი, ბოლნისი, გურჯაანი) ჩავიდნენ ნორჩი ფალავნები. გათამაშდა პირადი და გუნდური პირველობა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 21 საჯარიმო ქულით გაიმარჯვა ყვარლის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ არბოშიკელები (22), მესამეზე — სოფელ ჭაფარიძის გუნდი. წინააღმდეგობის მიხედვით გაიმარჯვეს: ზურაბ ღონიაშვილმა (ყვარელი), ზურაბ ჭაჭანიძემ (ბოლნისი), ვანო ღონიაშვილმა (ყვარელი), ჰამლეტ ყოჩიაშვილმა (ყვარელი), ოსებ კოტაშვილმა (არბოშიკი) და ზურაბ იაკობიშვილმა (ჭაფარიძე).

სპარტაკ ჯოღაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

თანაბრად გაყოფილი ქულები

თბილისი. სპორტის სახახლე. 7 თებერვალი.
„დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) 86:81 (42:51)
„დინამო“: ღარსაძე (30), სანაძე (20), ფერიაშვილი (18), შენგელია (12), დაუშვილი (6). ტალახაძე (5), ბაქრაძე, უსტიაშვილი.
ვეფ-ი: ვეტრა (25), მუხომეიძე (24), ლაქა (10), მელნიკი (11), ა. მიგლინი (8), ბონდარენკო (8), იეკობსონი (5), რ. მიგლინი (5).
მსაჯები: რ. ბარაუსკასი (კაუნასი) და ა. ვალუიკინი (ლენინგრადი).
დუბლშემადგენლობანი — 76:96 (87:64).

თბილისი. სპორტის სახახლე. 8 თებერვალი.
„დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) 92:84 (41:42).
„დინამო“: სანაძე (30), შენგელია (24), ცხვედიანი (14), ღარსაძე (10), ფერიაშვილი (8), დაუშვილი (6), უსტიაშვილი, ტალახაძე, ბაქრაძე.
ვეფ-ი: ვეტრა (29), ა. მიგლინი (23), მელნიკი (9), მუხომეიძე (8), ბონდარენკო (8), იეკობსონი (4), ლაქა (3), ლიგა.
მსაჯები: რ. ბარაუსკასი (კაუნასი), ა. ვალუიკინი (ლენინგრადი).
დუბლშემადგენლობანი — 65:95 (24:48).



ზიკოს გამოსათხოვარი მატჩი

გამოჩენილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ზიკომ 6 თებერვალს რიო-დე-ჟანეიროს „მარაჟას“ სტადიონზე 100 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გამოსათხოვარი მატჩი გამართა და ოფიციალურად გამოეშვიშა დიდ პროფესიულ ფეხბურთს.

ზიკო, როგორც ეს ბრაზილიაში მიღებული, შეჩვეული სახელია. ნამდვილად მას ჰქვია არტურ ანტონიუს კომბრა. პროფესიონალი ფეხბურთელის გზა მან 1971 წელს დაიწყო, გამოდიოდა ბრაზილიის ცნობილ „ფლამენგოში“. 1983-85 წლებში იტალიის „უდინეზეში“ გადავიდა, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა სამშობლოს. ზიკო 89-ჯერ გამოვიდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და 66 ბურთი გაიტანა. სულ კი მის ანგარიშზეა 1046 ოფიციალური მატჩი და 729 გატანილი ბურთი.

ზიკოს გამოსათხოვარი მატჩში მონაწილეობდნენ თანამედროვე ფეხბურთის გამოჩენილი ვარსკლავები ბურენიე და ბრაიტერი (გერ), კროლი (პოლანდია), ჯენტილე (იტალია), კემპესი (არგენტინა).

ამ ვარსკლავთა ნაკრები, რომელსაც გამოდიოდნენ 1978 და 1982 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ცნობილი ფეხბურთელები, შეხვდა ზიკოს მშობლიურ „ფლამენგოს“ (რიო-დე-ჟანეირო), უფრო სწორედ კლუბის 1981 წლის შემადგენლობას, რომელიც იმ დროს „ზიკოს“ სახელით იყო ცნობილი.

დღე ჩვენი გუნდი და მაყურებელი უმაღლესი საკალათბურთო ინსტიტუტის გაძლიერებული ყურადღებისა და ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ბოლო ოთხ შეხვედრაზე თბილისში კომისრალ ჩამოსული იყო თვით საკავშირო სპორტსაკომის მთავარი მწვრთნელი კალათბურთში სერგეი ჩერნოვი, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა, არც „დინამოს“ და არც მისი გულშემატკივრების მიმართ არა აქვს პრეტენზიები. ოთხივე მატჩი სპორტის სახახლეში (კომისრის აზრით უკონფლიქტოდ, ნორმალურ პირობებში) ჩატარდა.

კონფლიქტისა და უწყისობის მოთავენი, როგორც წესი, თავად სპორტმენები არიან. მათი ყოველი მოქმედება, გაუთვალისწინებელი და საეჭვო საქციელი უმაღლესი კალათბურთის დანაშაულებად იქნება მიჩნეული და ექსპანსიური მაყურებლის ერთ ნაწილში საბასუნო რეაქციას იწვევს. დარწმუნებული ვარ, ამ გულშემატკივრებს კარგად არა აქვთ განცხადებული გათამაშების დებულების ის პუნქტები, რომლებიც წესრიგის დარღვევისათვის, პირველ ყოვლისა, მასპინძელ გუნდსა და მის მაყურებელს აღნაშაულებენ (და სჯიან კიდევ).

არადა, უარყოფითი რეაქცია ტრიბუნებზე ერთმა დაუკვირვებელმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს. აღაფრეს ვამბობ გულშემატკივრებს, რომლებიც ჩვენი მეტოქეები მსაჯების არც ერთ სასტვენს არ ეთანხმებოდნენ და მთელი ოამში მათთან კამათში, შელაპარაკებასა და პროტესტში გაატარეს. ამ დღეს განსაკუთრებით პირველად სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი იგორ მიგლინი (სსრ კავშირის მსაჯის) გადაწყვეტილება მთელი შეხვედრის მანძილზე ვერც ერთმა მსაჯმა ვერ მიიღო. ერთხელ, ამის გამო, მიგლინიესმა ტექნიკური სასჯელიც დაიმსახურა, აი მსაჯებსა და მაყურებლებს კი, არაფერი რომ ეთქვათ თავად კალათბურთელებზე, კარგა მაგარად დააწყვიტა ნერვები.


ყველაფერი ეს მოხდა იმიტომ, რომ ვეფ-ი პრიზიორთა სამეულში მოხვედრისთვის იბრძვის და ქულის დაკარგვა თბილისში, როგორც ჩანს, არ ჰქონდა დაგეგმილი. მაგრამ ქულები ვეფ-ზე ხაკლებად (თუ მეტოქე არა) თბილისელებსაც როდეს სჭირდებათ? ჩვენი გუნდი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაშია, უფრო რთული პრობლემების წინაშე დგას და ამიტომაც ვალდებულია ყოველი შეხვედრა თავისი შესაძლებლობების ზღვარზე ჩაატაროს, ითამაშოს მაქსიმალური თავგანწირვითა და მონდობით.

დგენლობას, როცა ამ კლუბმა საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა

შესვენების შემდეგ მინდორზე გამოვიდნენ „ფლამენგოს“ ამჟამად მოქმედი მოთამაშეები, ხოლო მსოფლიო ნაკრების ვეტერანებმა თავიანთი ადგილი ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაუთმეს, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი ფეხბურთელები ბელგიელი გერეტსი, ავსტრიელი პეკაი, ბრაზილიელი ბეპერტუ. სინტერგუსო თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. მსოფლიოს ნაკრებიდან თავი გამოიჩინეს ანაოზი (ბრაზილი) და ტარანტინი (არგენტინა), „ფლამენგოს“ მხრივ ორივე ბურთი გაიტანა ფერანდესმა.

გამოსათხოვარი მატჩებში წესია, რომ მთელი შემოსავალი გადაეცეს იტალიას, მაგრამ ზიკომ ამჯერად ტრადიციის დარღვევა და 100 ათასი დოლარი შესწირა ბრაზილიაში პირველი კლინიკის მშენებლობას ჰე-მოფილით (სისხლის დაავადება) ავადმყოფი ბავშვების სამკურნალოდ.

სულ ცოტა ხნის წინ პორტუგალიის საუკეთესო ბომბარდირად ითვლებოდა ფერანდო გომეზი. მის მთავარ კონკურენტად კი ასევე პორტუგალიელი მართი ფერანდესი. ზოგჯერ, დავაში ეროვნულ ნაკრებში მონაწილეობის, რომლებიც მრავალდროს არაა აქტიურ კლუბებში. წელს სიტუაცია შეცვლილია. სწრაფი და სიმძლავრით არც ერთი პორტუგალიელი არ გვხვდება. 21 გოლით ლიდერობს შვედი მათს მა-



ვეფ-თან განვლილი ორი მატჩი ახალგაზრდული გუნდის შესაძლებლობების, მისი მომავლისა და პერსპექტივის თავისებური გამოცდა იყო. მით უფრო, რომ ამჯერად თბილისში არ იმყოფებოდა ტიუბინი და „დინამოს“ შესუსტებული შემადგენლობით მოუხდა ბრძოლა. გამოცდა ჩვენმა გუნდმა ჩააბარა. მეტრაც გეტყვით, მას ორივე შეხვედრის მოგება შეეძლო, ცოტათი ბედსაც რომ მოეხმარა ხელ.

წინა დღეს „დინამომ“ მაქსიმალურად გამოიყენა კალათბურთელთა სწრაფი რეაგირება, მეორე შეხვედრაში კი უფრო მობოროტი და აზრიანი თამაში აჩვენა და გამარჯვებაც მას სწორედ ამან მოუტანა. ყველაზე სასიამოვნო და ნიშანდობლივი კი ის გახლდათ, რომ გუნდი, უდავოდ ძლიერსა და საპირისპირო მეტრაცს საკალათბურთო ხელოვნების არც ერთ რგოლში არ ჩამორჩენია.

კალათბურთი კოლექტიური თამაშია და წარმატებას, როგორც წესი, კოლექტივმა უნდა მიაღწიოს. გულშემატკივრების თბილისის „დინამომ“ დაამტკიცა, რომ მას ასეც შეუძლია თამაში.

ნოდარ გუგუშვილი.

გათამაშების ცხრილი	
მდგომარეობა 10 თებერვლისთვის	
„ბუღიველ“ (კ.)	84 21 13 55
ცეკა	29 25 4 54
ვეფ (რიგა)	84 19 15 53
„დინამო“ (მ.)	80 22 8 52
„კალევი“ (ტალ.)	27 15 12 42
„ჟალგირა“ (კაუნ.)	29 18 16 42
„სპარტ.“ (ლენ.)	80 12 18 42
რტი (მინსკი)	80 11 19 41
„დინამო“ (თბ.)	29 12 17 41
ასკ (ალმა-ათა)	23 15 8 38
„სტატ.“ (ვილნ.)	82 5 27 37
„შატ.“ (დონ.)	28 8 20 36

გუნდის („ბენფიკა“), რომელიც „ოქროს ბუცუც“ ატარებს პრეტენზიას. მას მიეცემა ბულგარელები სტაირო მლადენოვი („სეტუბალი“) და პლამენ გეტოვი („პორტო-ნოვოსი“) — 9-9 ბურთი.

30 წლის დასავლეთგერმანელი ტრამპ ალოფსი წლების განმავლობაში წარმატებით თამაშობდა ბუნდესლიგის წამყვან კლუბებში, რამდენჯერმე მოიპოვა ნაკრების მაისურიც. წლებადელი სეზონის წინ, ალოფსი თავისი მძის კლასის მსგავსად საფრანგეთში გადავიდა და „სტრასბურგში“ დაიწყო თამაში. ბოლო ცნობით იგი ბრუნდება ფერში და მშობლიურ „ფორტუნაში“ (ლიუსელდორფი) ჩაირიცხება.

გლახოს „სელტიკი“ ემშვიდობება თავის კაპიტანს. 30 წლის რომ აიტყენი, რომელიც წლების განმავლობაში „სელტიკის“ სახეს წარმოადგენდა, სტოვებს თავის გუნდს და ინგლისის II ლიგის „ნიუკასლში“ გადადის. 3,5 წლიანი კონტრაქტი იგი ნახევარმედიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

გვანიატარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრედ რუმომ წამოაყენა თავისი კანდიდატურა უეფა-ს პრეზიდენტის პოსტზე. როგორც ცნობილია, ახლა ამ თანამდებობაზე ფრანგი ჟაკ ჟორტი. 19 აპრილს მალტაზე გაიმართება უეფა-ს ყრილობა, სადაც ახალ პრეზიდენტს აირჩევენ.

ცეკა-რიოს „სპორტმა“ გამოაქვეყნა ქვეყნის იდეალური ნაკრების საკუთარი ვარიანტი. სხვებთან ერთად მასში ოთხი უცხოელი მო-

შეპირების გზით

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ და საფეხბურთო ლიგათა კავშირმა დიდი ხნის კონფორტისა და დაუფარავი მტრობის შემდეგ, ეტყობა, გამოძენეს საერთო ენა. ამის თაობაზე ორივე ამორგანიზაციის ხელმძღვანელებმა 7 თებერვალს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ სსრ კავშირის 1990 წლის ჩემპიონატს უზენაესი დონის ფეხბურთელები, ვინაიდან ლიგების კავშირის წესდება ჯერ დამტკიცებული არაა და, საერთოდ, იურიდიული მხრის უფლება მას არა აქვს ამტკიცოს, როგორც საკავშირო ფედერაციამ დაადგინა, უმაღლესი ლიგაში ითამაშებს 16 გუნდი, ხოლო პირველში — 22.

ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. კოლუკოვმა თქვა, რომ მას დიდი ხანია სურდა აქვს მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართოს ლიგების კავშირთან, უშუალოდ ფედერაციის თავიდანვე განზრახული ჰქონდა დახმარება გაეწია ახალი კავშირისთვის, მაგრამ კავშირის ხელმძღვანელებმა კონფორტაცია არჩია და კატეგორიული უარი თქვა კეთილშობილურ თანამშრომლობაზე. ბოლოს, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, რომელშიც პრესაც ჩაერთა, ორივე ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ერთად შეიკრიბა, რათა გადაწყვიტოს საბჭოთა ფეხბურთის მრავალი საპრობლემო საკითხი. საკავ-

შირო ჩემპიონატის ჩატარებას ენა-ჭირება მატერიალური ბაზა, სათანადო თანხები, ბევრი ჩვენი გუნდი კი, რომელიც ლიგაში იმყოფებოდა, მოკლებულია საკუთარი ძალეებით დამოუკიდებელი არსებობის საშუალებას.

საფეხბურთო ლიგების კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა თ. ბაზილევჩიმა აღიარა, რომ კავშირი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და უარი ეთქვა თავის პირვანდელ გადაწყვეტილებაზე, რომელიც კავშირის საგანგებო ყრილობამ მიიღო. ეს, პირველ ყოვლისა, ენება I ლიგაში 40 გუნდის მონაწილეობას.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ლიგების კავშირის პრეზიდენტი ვ. პონედელნიკი. მან განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის უფლებამოსილობის ყველა საბუთი დამატკიცებლად გამოდებულია, ლიგების კავშირმა გამოძენა რამდენიმე სოლიდური სპონსორი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთში, მან იმედი გამოთქვა, რომ 1991 წლის საკავშირო ჩემპიონატს უკვე ლიგების კავშირი ჩაატარებს.

ჯერჯერობით კი საბჭოთა ფეხბურთის უშუალოდ უზენაესი დონის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებული სსრ კავშირის ფედერაცია, რომელსაც საამისოდ სრული იურიდიული უფლებამოსილება აქვს.



სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას იტალიაში გადის, ქალაქ ტორინოში შეხვდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს (იგი იტალიის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში გამოდის) და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი მე-5 წუთზე გაიტანა ა. მიხაილიჩენკომ. 12 წუთის შემდეგ გ. ლიტვჩენკომ ანგარიში ორამდე აიყვანა, 26-ე წუთზე კი რ. პოლიკანომ შემოიღო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. საბჭოთა ფეხბურთელებმა უფრო ადრე ქალაქ მასა-კარარაში ასევე საწვრთნელი მატჩი გამართეს მე-სავე დივიზიონის კლუბ „მასესესთან“. თამაში დამთავრდა ანგარიშით 5:1 (2:0) საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს კოლიგანოვმა (2), ჩერენკოვმა და ნარბეკოვმა, ერთი ბურთი საკუთარ კარში მოათავსა იტალიელმა ბრუნინიმ. „მასესეს“ მხრივ ერთადერთი საპასუხო ბურთი 11-მეტრიანთი გაიტანა რანდონიმ.

ფინალისტები ეფუადებან

ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა საკუთარ მიწებზე იაუნდებში კამერუნი ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთ ჯგუფში იმყოფება საბჭოთა გუნდთან ერთად. კამერუნელთა მეტრაც იყო სსრ კავშირის I ლიგის გუნდი კრასნოდარის „ყუბანი“. კამერუნის ნაკრებს ამჟამად წვრთნის საბჭოთა სპეციალისტი ვ. ნეპომნი-აში.

კამერუნელმა ფეხბურთელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით — 1:0.

საერთაშორისო შეხვედრათა სერიაში მორიგი მარცხი განიცადეს რუმინელმა ფეხბურთელებმა. რუმინეთის ნაკრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილ კლუბს მიუნხენის „ბაიერს“ შეხვდა და დამარცხდა — 1:2. „ბაიერის“ მხრივ ორივე ბურთი გაიტანა ვოლფარტმა, რუმინელთაგან თავი გამოიჩინა ჰაჯი.

მინიფეხბურთის ასოციაციის თასი



კალინინის ოლქის ქალაქ კონა-კოვოში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება მინიფეხბურთში ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდების შორის.

მინიფეხბურთის ასოციაციის თასის პირველი მფლობელი გახდა ესტონეთის თეგსაჰერი კოლმეურნეობის „მაიკის“ (ტალინი) გუნდი.

ბედა — მცველი ლონი (შეგეი, „ქსამაქსი“), თავდამსხმელები ბალიჩი (იუგოსლავია, „სიონი“) და ორი ჩილეელი — ზამორანი და რუბიო (ორივე — „სენტ გალენი“).

არგენტინის ნაკრებს მნიშვნელოვანი სირთულეები აქვს თავდასხმაში. სტატისტიკითა გამოთვლით უკვე 741 წუთია, რაც მსოფლიო ჩემპიონატის გოლის გატანა არ უშეძლიათ. ბოლოს ეს მოხდა სამხრეთ ამერიკის 1989 წლის პირველობაზე ურუგვაისთან (1:0) მოგებულ მატჩში. მას მერე არგენტინელებმა 8 თამაში ჩაატარეს, თავდამსხმელთა რამდენიმე ვარიანტი გამოსცადეს, მაგრამ უშედეგოდ. არადა ნაკრების კანდიდატები კლუბებში საკმაოდ მაღალი შედეგიანობით გამოიჩენიან. მაგალითად, იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში არგენტინელებმა (მარადონა, დეზოტი, პასკუელი, დერტისი, ბარბასი, ბალბო, კანიჯია) საერთო ჯამში 45 გო-

(სპა. ინფ.)



სსრ კავშირის
ჩემპიონატი
წააღებურთში

პირველი ტურის შედეგ

დამთავრდა უმაღლესი ლიგის
წააღებურთელ ვაჟთა 46-ე საკავში-
რო ჩემპიონატის პირველი წრის
პირველი ტური.

ბარკოვი. თბილისის დინამო-
ლეგენა ჯგუფური ტურნირის ბოლო,
მეხუთე შეხვედრა დამთავრდა ლეგენის
თანაქმლებლებთან (11:16) და ამ-
ჟამად მათთვის უჩვეულო ბოლო ად-
გილზე იმყოფებიან. ტურის ორი
სხვა მატჩი ფრედ დამთავრდა: „ტო-
რპედო“ (მოსკოვი) — უნივერსი-
ტეტი (მოსკოვი) 6:6 და „ლოკომო-
ტივი“ (ხარკოვი) — „მოსკოვი“ 5:5.

ალმა-ატა. გათამაშების ქრო-
პირიგულში ლიდერმა ცსკ ვეფ-
მეხუთე შეხვედრა სევასტოპოლის
არმიულეს მოუგო — 10:5. ასეთი-
ვე ანგარიშით დამარცხდა მოსკოვის
„დინამო“ კასპიის წითელდროშო-
ვანი ფოტოტოლის (ბაქო) გუნდი.
ალმა-ატის „დინამოს“ და კიევის
თანაქმლებელთა შეხვედრაში აღი-
ნიშნა ფრე — 5:5.

ჩემპიონატის მეორე ტური თე-
ბერვლის მეორე ნახევარში შედგე-
ბა.

გათამაშების ცხრილები

ბარკოვის ჯგუფი

უნივერსი. (მოსკოვი)	5	3	2	0	8
„მოსკოვი“	5	3	1	1	7
„ლოკ.“ (ხარკოვი)	5	2	2	1	6
„ტორპედო“ (მოსკოვი)	5	2	1	2	5
„დინ.“ (ლეგენა)	5	1	2	2	4
„დინ.“ (თბილისი)	5	0	0	5	0

ალმა-ატის ჯგუფი

ცსკ ვეფ	5	5	0	0	10
„დინ.“ (მოსკოვი)	5	3	1	1	7
„დინ.“ (კიევი)	5	2	1	2	5
„დინ.“ (ალმა-ატა)	5	1	3	1	5
სკ (ხევსტოპოლი)	5	1	1	3	8
კვფ (ბაქო)	5	0	0	5	0

პროსპორტის პასუხები

„ლელო“ 7 იანვრის ნომერში
საფეხბურთო თემაზე გამოქვეყნებუ-
ლი კომენტარები (ავტორი თ. კუპაძე),
— 1990 წლიდან დღემდე — შემ-
დეგანარად ამოიხსენება:
თარგმნალები: 1. შაი. 2. ედუ-
4. ჩეა. 5. რიო. 6. ვიდალი. 7. უგა-
რტი. 10. ლომბარდი. 11. ამარილ-
დო. 12. ხუანიტო. 13. ზამბორო.
16. ბარიო. 18. ფიგერა. 19. უმ-
ბერტო. 20. იარა. 21. ზარა. 22.
ლაბარტი. 23. დოლივი. 24. ივანი.
27. იაკობი. 28. იანსენი. 31. შუმა-
ბერი. 32. ასათიანი. 33. ფარიბა. 34.
ქორიძე. 35. პეი. 36. პიო. 37. ალი.
38. აბე.
შემაჯავრებელი: 1. მატერია. 2. ურუგვაი.
3. ხალა. 9. პანტი. 12. ზამბორო.
13. ივერტი. 14. ზეილერი. 15.
იზარელი. 16. ბაღი. 17. ოულდი.
25. ვერდი. 26. ნუარი. 29. კიკია.
30. ლავოლი.

ბრძოლას განაგრძობს ორი გუნდი

დამთავრდა კალათბურთულ ვაჟ-
თა ევროპის საკლუბო ტურნირების
ერთი ნახევარი. თანების მფლობე-
ლთა თანის და კორაჩის თანის გა-
თამაშებებში ბრძოლას განაგრძობენ
კალანის „ჟაღიგისი“ და მოსკო-
ვის ცსკა.

თასების ფელოგალთა თასი.
პირველი ჯგუფი. „სუნერი“ (ბელ-
გია) — „ჟაღიგისი“ (კალანისი)
102:82 (54:32). იტალიის „კორმა“
აჯობა ისრაელის „მაკაბის“ და ჯგუ-
ფში პირველი ადგილი დაიკავა.

„კორმა“	6	5	1	11
„ჟაღიგისი“	6	3	3	9
„სუნერი“	6	2	4	8
„მაკაბი“	6	2	4	8

მეორე ჯგუფი. „რეალი“ (ესპა-
ნეთი) — „მიულუნი“ (საფრანგეთი)
91:86 (51:41). „პარტიზანი“ (იუგო-
სლავია) — პაოკი (საბერნეთი)
95:79.

„რეალი“	6	5	1	11
„პაოკი“	6	4	2	10
„პარტიზანი“	6	2	4	8
„მიულუნი“	6	1	5	7

ნახევარფინალებში, რომლებიც
20 და 27 თებერვალს გაიმართება
ერთმანეთს შეხვედრებიან: „კორმა“
— „პაოკი“ და „რეალი“ — „ჟაღ-
იგისი“.

კორაჩის თასი. პირველი ჯგუ-
ფი. ცსკა (სსრკ) — „ბოსნა“ (იუ-
გოსლავია) 80:69. „ფონოლა“ (იტა-
ლია) — „ირაკლისი“ (საბერნეთი)
87:68.

ცსკა	6	4	2	10
„ბოსნა“	6	4	2	10
„ფონოლა“	6	4	2	10
„ირაკლისი“	6	0	6	6

მეორე ჯგუფი. „ეფეს პილენი“
(თურქეთი) — „პანინოსი“ (საბერ-



ძნეთი	94:84.	სკ (ალმა-ატა)	—
„პაოკი“	(ისრაელი)	92:74.	
„ეფესი“			6 4 2 10
„პანინოსი“			6 3 3 9
სკ			6 3 3 9
„პაოკი“			6 2 4 8

მეხამე ჯგუფი. „ოლიმპია“ (იუ-
გოსლავია) — „შოლ“ (საფრანგე-
თი) 95:84 (57:30). „ენიმონტი“
(იტალია) — „სარაგოსა“ (ესპანეთი)
90:65 (41:31). პირველი მეორე ად-
გილებზე ამ ჯგუფში გაიდანენ: „ეფ-
ესი“ და „პანინოსი“.

მეორე ჯგუფი. „ზადარი“ (იუ-
გოსლავია) — „ორტეზი“ (საფრა-
ნგეთი) 119:102 (55:55). „სკავოლი-
ნი“ (იტალია) — „ხუვენტუდი“ (ეს-
პანეთი) 90:77 (39:41). მეორეად-
გილობში თამაშის უფლება მოიპო-
ვეს „ხუვენტუდმა“ და „სკავოლი-
ნი“.

მეორეადგილობრივი წყვილები:
„პანინოსი“ — ცსკა, „ეფესი“ —
„ბოსნა“, „შოლ“ — „სკავოლინი“.
„ხუვენტუდი“ — „ენიმონტი“. პირ-
ველი მატჩები გაიმართება 21 თე-
ბერვალს, საპასუხო — ერთი კვი-
რის შემდეგ.

პრიზის მათა ლაზრეატი

ნიუ-იორკი. მსოფლიოს საუკე-
თესო სპორტსმენისთვის განკუთვ-
ნილი ერთ-ერთი საპატიო პრიზი
ლეგენდარული ზანგი მძლეოსნის ჯი-
სი ოუენსის სახელს ატარებს. ჯი-
სი ოუენსი, რომლის ლაურეატებს ასა-
ხელებს სპეციალური საერთაშო-
რისო კომიტეტი, დაწესდა 1981
წელს. ამ წლიდან მოყოლებული
პრიზს ფლობდნენ:

1981 წ. ერიკ მაიდენი (აშშ) — ციგურაობა.	1982 წ. ხედახტიან კოე (ინგლი- სი) — მძლეოსნობა.
1983 წ. მერი სლეინი (აშშ) — მძლეოსნობა.	1984 წ. ედვინ მოზესი (აშშ) — მძლეოსნობა.

1985 წ. კარლ ლუისი (აშშ) —
მძლეოსნობა.

1986 წ. საიდ აუიტი (მაროკო) —
მძლეოსნობა.

1987 წ. გრეგ ლუგანისი (აშშ) —
წყალში სვლა.

1988 წ. ბენ ჯონსონი (კანადა) —
მძლეოსნობა.

1989 წ. ფლორენს გრიფიტ ჯო-
ინერი (აშშ) — მძლეოსნობა.

შარშანდელი შედეგების მიხედ-
ვით წლეულს საპატიო ჯილდო გა-
დაეცა ამერიკელ მძლეოსანს, მსო-
ფლიოს რეკორდმენს 110 მეტრზე
თარჯუნში, ორგზის ოლიმპიურ
ჩემპიონს როჯერ კინგდომს.

სრული რეაგირება

ეს მოხდა შარშან აგვისტოს ბრი-
უსელში, სადაც „გრან-პრის“ პრო-
გრამით მძლეოსნთა საერთაშო-
რისო ტურნირი ტარდებოდა. 5 აგვი-
სტოს პოპულარულ ნორვეგიულ შე-
ბისმტყორცნელ ჯალს ტრინე სოლ-
ბერგს ანალიზი აუღეს დოპინგზე.
შედეგი, სამწუხაროდ, დადებითი
აღმოჩნდა სექტემბერში მძლეოს-
ნობის საერთაშო-რისო ფედერაციამ
სოლბერგს ორი წლით აუკრძალა
შეჯიბრებებში გამოსვლა.

შინ დაბრუნებულმა სოლბერგმა

სინანულით განუცხადა ჟურნალის-
ტებს:

— სამწუხაროდ, ძნელია იმის და-
მტკიცება, რომ დამნაშავე არა ვარ.
მაგრამ ხომ ვიცი, კარგად რა ჩავი-
დინე და რა არა. მე მუდამ წინააღ-
მდევი ვიყავი დოპინგისა და სხვე-
რსაც ბრძოლისკენ მოვუწოდებდი.
ახლა კი თავად გავხდი მსხვერპლი,
ოღონდ შედეგისათა შეცდომისა.

საერთაშო-რისო ფედერაციის ტო-
კიოს აღმასკომის სხდომაზე ამ სო-
კიტის ერთხელ კიდევ დაუბრუნდ-
ნენ და გამოიკვია, რომ ორ ანა-
ღის აბსოლუტურად საწინააღმდეგო,

ერთმანეთის გამომრიცხავი შედე-
გები მოუტია. პირველმა ანალიზმა,
როგორც ვთქვით, სისხლში აკრძალ-
ულ ნივთიერებთან კვალი აჩვენა,
მეორე ანალიზი კი სუფთა იყო და
ფაქტურად უარყოფდა პირველს.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით
საერთაშო-რისო ფედერაციამ დაად-
გინა: სპორტსმენის დასჯა შეიძლება
მხოლოდ მაშინ, როცა ანალიზის შე-
დეგი ოდნავადც არ იწვევს ეჭვს.
სოლბერგს ფედერაციამ ოფიცია-
ლურად მოუხადა ბოლოში. იგი
მთლიანად რეაბილიტირებულია.

„პრალაში სიაშოვნებით ვითაგაშა“

ცდებოდა, ამიტომაც დავრჩი ამერიკა-
ში.

ნეგრატოლოვამ განაცხადა, რომ შა-
რშან „ვირჯინია სლიმის“ 15 ტუ-
რნირში გამოვიდა, წლეულს კი, ალ-
ბათი, მტრში მოუხდებდა მონაწილე-
ობა. მან ავსტრალიის შეჯიბრებებში
გამოტოვა და სეზონს ჩიკაგოს სა-
ერთაშო-რისო ტურნირით დაიწყო.

● ჩამოვალთ თუ არა ჩემოხლო-
ვიაში, კარლოვი-ვარის ტურნირ-
ში, სადაც ხაბრიზო ფონი ხელ 25
ათასი დოლარია?

— თანხას ჩემთვის მნიშვნელობა
არა აქვს. ჩემსოლოვიაში სიაშო-
ვნებით ჩამოვალ და საჩვენებელ
მატჩებს ყოველგვარი ანაზღაურების
გარეშე გავმართავ. ადრე მოველა-
ბარე პანა მანდილიკოს, რომ პრა-
ლაში მატჩში შეხვედრებოდა ერთ-
მანეთს. ეს შეხვედრა არ შედგა, იქ-
ნებ ახლა, ქვეყანაში მომხდარი
ცვლილებების შემდეგ, უფრო ო-
ლი იყოს მისი ორგანიზება. გააფ-
ხულზე სიაშოვნებით ვითაგაშებდი
ჩოგბურთის გულშემატკივრების გა-
სახარად უპროფიტოდ. როცა პრალაში
გამოვედი ფედერაციის თასზე აშშ-ს

გუნდის შემადგენლობაში, ბევრი ქო-
მაგი მყავდა, დიდი სიაშოვნებით ვთა-
მარობდი, ძალიან შიხარია, რომ
კვლავ ჩამოვალ პრალაში, ეს ჩემი
დიდი სურვილია.

● ახლა მხოლოდოში მეორე ჩო-
გბურთელი ხართ. პირველობისაქენ
თუ მისწრათ?

— ეს შესაძლებელიც გახლავთ,
თუმცა საკუთარი ძალის უწინდელი
რწმენა აღარა მაქვს. როცა შტეფი
გრაფთან ვთამაშობ, აღრინდელი სი-
მტკიცით ვეღარ გამოვდივარ. რამ-
დენჯერმე მასთან უბრძოლველად
კი დავმარცხდი. რამდენიმე მატჩი
მოვიგე ამ ხუთი-ათი წლის წინ,
სწორედ იმიტომ, რომ მტკიცედ მჭე-
როდა, რომ გავიმარჯვებდი.

● რას იტყვით ჩემოხლოვად
ჩოგბურთელ ქალებზე?

— სუკოვასა და ნოვოტას, უწი-
ნარეს ყოვლისა, სისწრაფე აკლი-
ათ. ისინი ჩემი კარგი მეგობრები
არიან, მიხარია მათთან შეხვედრა და
საუბარი მშობლიურ ენაზე.

ალმა-ატის პირველი ტური

მოულოდნელად, 37 წლისა გარ-
დაიცვალა საქართველოს მრავალ-
გზის ჩემპიონი, საკავშირო და
მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხ-
ლის პრიზიორი ახალგაზრდებს
შორის, სპორტის ოსტატი თავი-
სუფალ კიდაობაში ალექსანდრე
რომანის ძე ჭუაძე. წავიდა ჩვენგან
ახოვანი, ენერგიული, ყველასთ-
ვის საყვარელი ადამიანი.
იგი კიდაობაში ბავშვობიდანვე
გაიტაცა. ჭერ კიდევ სკოლის მოს-
წავლემ დიდი ძალითა და შრომის-
მოყვარეობით მნიშვნელოვან წა-
რმატებებს მიაღწია.

1970 წელს თბილისში ჩატა-
რებულ მოსწავლეთა რესპუბლიკ-
ურ სპარტაკიადზე მოპოვებუ-
ლი გამარჯვებით დაიწყო მისი
სპორტული ბიოგრაფია. შემდეგ
გაიმარჯვა საკავშირო და სხვა რეს-
პუბლიკურ შეჯიბრებებშიც. იგი
სპორტსაზოგადოება „ბურევსტ-
ნიკის“ წევრი იყო და ამ საზოგა-
დოების მრავალ შეჯიბრებაში მო-
იპოვა პირველი ადგილი.

თბილისელი კახუკისათვის ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი და ნაყო-
ფიერი იყო 1978 წელი, მან ჭერ
ალმა-ატაში ჩატარებულ I საკავში-
რო ახალგაზრდულ თამაშებში და-
იკავა მე-8 ადგილი, შემდეგ უკვე
საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნ-
დის შემადგენლობაში, ამერიკის
შეერთებულ შტატებში გამართულ
მსოფლიოს ახალგაზრდულ პირვე-
ლობაზე ვერცხლის მედალი მოი-
პოვა.

ალექსანდრე ჭუაძე სხვადასხვა
მიწების გამო ადრე ჩამოშორდა
აქტიურ სპორტს. დამთავრა სა-
ქართველოს პოლიტექნიკური ინს-
ტიტუტის ავტომატიკის და გა-
მოფლეთი ტექნიკის ფაკულტეტი
და სპეციალობით მუშაობდა.

ა. ჭუაძე თავის ერთადერთ
ვაჟს პატარაობიდანვე უნერგავდა
სამშობლოს და სპორტის სიყვარ-
ულს. გვიანდაც გავჩერდეს, რომ
პატარა ბათო ჭუაძე გაჰყვება
მამის კვალს და ის, რაც ვანუშო-
რციელებელი დარჩა ალექსანდრეს,
მისი ვაჟი განაგრძობდა.

საპარტეზლოს სპორტსახ-
კომის ვიდეოტექნიკის განყოფი-
ლებაში გაერთიანება.

ახალგაზრდის ჯგუფი.

„საოცარო“

გამართიანება „სოლიტარტ-
ლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“
1990 წლის მე-5 ტირაჟების შედე-
გები.

„სპორტლოტო 8 45“-დან: ტირაჟ-
ში დაშვებულია 1.771.655 ვარიან-
ტი. 6 ნომერი არავის გამოუცე-
ნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის
(49) მოგება 1.265 მანეთია, ოთხ-
ხისთვის (2.478) — 32, სამისთვის
(41.483) — 3.

საქართველოში: დაშვებულია
43.493 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-57,
3-913.

„სპორტლოტო 5 86“-დან: ტირაჟ-
ში დაშვებულია 17.940. 133 ვა-
რიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის
(49) მოგება 10.000 მანეთია, ოთხი-
სთვის (8.809) — 93, სამისთვის
(274.597) — 5.

საქართველოში: დაშვებულია
528.977 ვარიანტი. 5-0, 4-264,
3-7786.

მე-5 და 1989 წლის 49-ე ტირაჟ-
იდან 1990 წლის მე-5 ტირაჟის ჩა-
თვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი
ბოლეთების მოგებები გაიცემა 1990
წლის 24 თებერვლიდან 24 მარ-
ტის ჩათვლით.

რედაქციის მოადგილე
ზ. ზიზინაძე

ახალი მონაწილე:
წერილებსთვის — 880998,
თბილისი, დეკანოზი ქ. 14,
დამკვეთისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ბალანსები:
წერილებს განყოფილება — 93-97-55,
სამაგისტრო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მეტა“ — 93-97-28, „მარტო“ — 93-97-27.

83050
050360
66435

საქართველოს კ. ც. ა. ს. გამომცემლობის შრომის წიგნის დროის ორ-
დენობის სტამბა. 380000, თბილისი, დეკანოზი ქ. 14, აბელება ოფსე-
ტური წიგნი საგანთა კორპუსში: სიმაჩაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უა 08709